CZECH AID

With funding from
Austrian Development Cooperation

People in Need

შენი ქმედება ცვლის

როგორ მოვიქცეთ ძალადობის შემთხვევაში?

ძალადობის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს პოლიციას

პოლიციაში შეტყობინების განხორციელება შესაძლებელია შემდეგი გზებით:

112 დარეკვით, განცხადების შეტანით პოლიციის უახლოეს განყოფილებაში.

ოჯახში ძალადობის შესახებ პოლიციაში შეტყობინების გაკეთება შეუძლია მოწმესაც. მოწმეს შეუძლია მოსთხოვოს პოლიციას ანონიმურობა.

პოლიცია ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს გადაუდებელი რეაგირება მსხვერპლის დაცვის მიზნით. მაგ: გამოკითხოს მსხვერპლი, გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, დააკავოს მოძალადე, დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, ამოიღოს მტკიცებულებები და სხვა.

პოლიცია ვალდებულია მსხვერპლის მოთხოვნისთანავე გადაიყვანოს იგი თავშესაფარში, ამასთან პოლიცია ვალდებულია არ შეატყობინოს მესამე პირებს მსხვერპლის თავშესაფარში განთავსების შესახებ ინფორმაცია, თუ ამაზე თანხმობას თავად მსხვერპლი არ განაცხადებს.

პოლიცია მესამე პირებზე ასევე არ გასცემს ინფორმაციას თუ რომელ თავშესაფარში განთავსდა მსხვერპლი, გარდა იმ შემთხვევისა თუ თავად მსხვერპლი არ განაცხადებს თანხმობას ამ ინფორმაციის გაცემაზე.

როგორ უნდა მოიქცეს მსხვერპლი თუ პოლიცია არ რეაგირებს მის შეტყობნებაზე?

მსხვერპლს შეუძლია დარეკოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე **126** და განაცხადოს პოლიციის უმოქმედობაზე.

მსხვერპლს თავშესაფარში ყოფნის პერიოდში არ შეიძლება აეკრძალოს ტელეფონით სარგებლობის, განათლების, მუშაობის და თავისუფლად გადაადგილების უფლება. მაგალითად თუ მსხვერპლი ქალი მუშაობს თბილისში პოლიციამ უნდა უზრუნველყოს მისი განთავსება თბილისის თავშესაფარში.

უფასო სატელეფონო დახმარება

ცხელ ხაზზე **(116 006)** დარეკვისას **(24 საათიან რეჟიმში)** ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირი იღებს უფასო სამართლებრივ კონსულტაციას. სამართლებრივი კონსულტაციის მიღება შესაძლებელია სხვადასხვა ენაზე.